# ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

- ✓ წინამდებარე ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები წარმოადგენს არასრულ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ;
- ✓ ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებთან ერთად დაზღვევის ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს _ვებ გვერდებზე https://credobank.ge/ https://imedil.ge/legal-info/ge განთავსებული:
  - ხელშეკრულების სტანდარტული პირობები;
  - პრეტენზიის ფორმა;
  - საინფორმაციო ფურცელი;
- ✓ უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულების ნაწილს წარმოადგენს ასევე მომხმარებელზე გაცემული სადაზღვევო პოლისი და ბარათი.

1. ინფორმაცია სადაზღვევო კომპანიისა და ხელშეკრულების ტიპის შესახებ:

- ✓ სს ,,სადაზღვევო კომპანია იმედი L" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204919008)
- ✓ უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულებით დაზღვეულია მომხმარებლის უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვალება, რაც წარმოშობს სადაზღვევო თანხის, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გაცემის/ანაზღაურების ვალდებულებას.

2. ინფორმაცია უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების ვადის, სადაზღვევო პრემიის, ხელშეკრულების შეწყვეტის პირობების, პრეტენზიის წარდგენის ფორმის, ვადებისა და გამონაკლისების მომწესრიგებელი მუხლების შესახებ:

➢ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო პერიოდი და სადაზღვევო პრემიის ოდენობა მითითებულია უბედურ შემთხვევათა დაზღვევის პოლისში.

➢ პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან.

➢ უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია: ა) მზღვეველის მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულება.
ბ)დამზღვევის/დაზღვეულის წერილობითი განცხადება;
გ) მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმება ;
დ) ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, დამზღვევის/დაზღვეულის ინიციატივით, ხელშეკრულების დადებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში, ხოლო სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულების შემთხვევაში - მისი დადებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში (აღნიშნული მოთხოვნით დამზღვევი/დაზღვეულია მიმართოს სს ''კრედო ბანკს'') ხელშეკრულების

შეწყვეტის უფლება არ წარმოიშობა, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, პირდაპირ და მკაფიოდ, მოთხოვნილია მომსახურების მიღება.

ე)ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა შემთხვევები;

ვ) იმ შემთხვევაში თუ, უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ დადგინდება, რომ მომხმარებელი არის/იყო ფსიქიურად დაავადებული დაზღვევის ძალაში შესვლამდე ან დაავადდა დაზღვევის ძალაში შესვლის შემდეგ, ან საჭიროებს მუდმივ მოვლასა და ზედამხედველობას.

- მომხარებლის/მოსარგებლის მიერ მზღვეველისათვის ნებისმიერი სახის პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, პრეტენზიის წარდგენის ფორმა ახლავს უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულებას დანართი #2-ის სახით, მომხარებლის პრეტენზიებს განიხილავს მზღვეველის, დაზღვეულთა/მომხმარებელთა ინტერესების დაცვის დეპარტამენტი, რომელიც შესაბამისი წერილობითი პრეტენზიის მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოფს მომხმარებლისათვის/მოსარგებლისათვის პასუხის წერილობითი ფორმით მიწოდებას, მომხარებლისათვის პასუხის მიწოდება შესაძლებელია განხორციელდეს, მომხარებლის მიერ პრეტენზიის ფორმაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე. (პრეტენზიის ფორმის ნიმუში ასევე, განთავსებულია მზღვეველის შემდეგ ვებ-გვერდებზე https://credobank.ge/ https://imedil.ge/legal-info/ge
- უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულების გამონაკლისები მითითებულია ხელშეკრულების მე-4 მუხლში, ხოლო სადაზღვევო ანაზღაურების წინაპირობები, წინამდებარე მნიშვნელოვანი პირობების მე-4 პუნქტში.
- მზღვეველის საზედამხედველო ორგანოს სახელწოდება და მისამართია: სსიპ ,,საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური", თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ლევან მიქელაძის ქუჩა N 3.

3. ინფორმაცია უბედური შემთხვევისგან დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ხარჯისა და ოდენობის თაობაზე:

უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულებით გარდა სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულებისა, მომხმარებლისათვის შესაძლოა წარმოიშვას შემდეგი სახის ფინანსური ხარჯები:

- ✓ უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულებაზე, მომხმარებლის მიერ ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე უარის გაცხადების შემთხვევაში, მზღვეველისთვის სადაზღვევო პრემიის გადახდის საკითხი შემდეგნაირად რეგულირდება: თუ დამზღვევს/დაზღვეულს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში არ უსარგებლია სადაზღვევო მომსახურებით დამზღვევს/დაზღვეულს უბრუნდება გამოუმუშავებელი პრემიის გადახდილი ნაწილი, ხოლო დაზღვევით სარგებლობის შემთხვევაში კი, გამოუმუშავებელი პრემია არ ექვემდებარება დამზღვევისათვის/დაზღვეულისათვის დაბრუნებას.

- ✓ თუ უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ დადგინდება, რომ მომხმარებელი არის/იყო ფსიქიურად დაავადებული დაზღვევის ძალაში შესვლამდე ან

დაავადდა დაზღვევის ძალაში შესვლის შემდეგ, ან საჭირებს მუდმივ მოვლასა და ზედამხედველობას , დაზღვევა ჩაითვლება ავტომატურად გაუქმებულად და მომხმარებელს დაუბრუნდება გამოუმუშავებელი გადახდილი პრემია სრულად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აქტიური სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მის მიერ არ განხორციელებულა წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასდაკლებით სარგებლობა, მომხმარებლის მიერ ფასდაკლების გამოყენების შემთხვევაში, სადაზღვევო პრემია, როგორც გამომუშავებული ასევე გამოუმუშავებელი, სრულად და ერთჯერადად ექვემდებარება გადახდას, ამასთან , ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მზღვეველის მიერ არ განხორციელდება სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურება.

- ✓ სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მომხმარებლის გარდაცვალების შემთხვევაში, მოსარგებლე ვალდებულია, მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემამდე სრულად დაფაროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადაუხდელი სადაზღვევო პრემია, წინააღმდეგ შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია, ანაზღაურების თანხას გამოაკლოს ასეთი სადაზღვევო პრემია.

4. ინფორმაცია უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფრანშიზისა და სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების წინაპირობების შესახებ:

ფრანშიზა უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული.

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წინაპირობაა:

- ➢ სადაზღვევო შემთხვევა რეგულირდებოდეს ხელშეკრულებით და მოსარგებლის მიერ

სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული, ხელშეკრულებით განსაზღვრული

ინფორმაცია/დოკუმენტაცია მზღვეველისათვის წარდგენილ იყოს სრულად, ხელშეკრულებითვე

შეთანხმებულ/განსაზღვრულ ვადაში და ფორმით (ხელშეკრულების სტანდარტული პირობების

მე-13 მუხლის მიხედვით).

- ➢ იმ შემთხვევაში თუ მოსარგებლე არ უზრუნველყოფს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული თითოეული დოკუმენტის, ხელშეკრულებით დადგენილი წესით, ფორმითა და ვადაში მზღვეველისათვის წარდგენას, მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისაგან.
- ➢ დაზღვევა ავტომატურად შეწყდება მომხმარებლის მიერ ომის ან მსგავსი სამომარი მოქმედების პერიოდში სამხედრო ან სხვა მსგავს ფორმირებაში სამსახურის დაწყებისთანავე. დაზღვევა განახლდება მომხმარებლის მიერ აღნიშნული სამსახურის მიტოვების შესახებ მზღვეველისათვის შეტყობინების განხორციელების შემდეგ.
- ➢ დაზღვევა არ ვრცელდება ფსიქიურად დაავადებულ პირებზე და მათზე, ვისაც ესაჭიროებათ მუდმივი მოვლა და ზედამხედველობა (პირები, რომლებსაც ყოველდღიური აუცილებელი საქმიანობისათვის ესაჭიროებათ სხვათა დახმარება);

➢ თუ წინამდებარე დაზღვევის ძალაში შესვლის შემდეგ დადგინდება, რომ მომხმარებელი არის/იყო ფსიქიურად დაავადებული დაზღვევის ძალაში შესვლამდე ან დაავადდა დაზღვევის ძალაში შესვლის შემდეგ, ან საჭიროებს მუდმივ მოვლასა და ზედამხედველობას, დაზღვევა ჩაითვლება ავტომატურად გაუქმებულად. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, მზღვეველის მიერ სადაზღვევო შემთხვევა არ ანაზღაურდება.

**5.** სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველისთვის შეტყობინების გაგზავნის, მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების და ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები:

- ✓ მოსარგებლე ვალდებულია დაზღვეული პირის უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვალებისას, დაზღვეულის გარდაცვალებიდან 48 საათის განმავლობაში დაუკავშირდეს მზღვეველის ქოლ ცენტრს და მიაწოდოს ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ, ხოლო დაზღვეულის გარდაცვალებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში მზღვეველს წარუდგინოს ხელშეკრულების 13.2 პუნქტით გათალისწინებული დოკუმენტები;
- ✓ სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა, ყველა საჭირო დოკუმენტის მზღვეველისათვის წარდგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, ხელშეკრულების 8.4 პუნქტით გასაზღვრული სადაზღვევო შემთხვევის შესაბამისი აქტის საფუძველზე;
- ✓ არაქართულენოვანი დოკუმენტების მზღვეველისათვის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ ქართულად ნათარგმნი, ნოტარიულად დამოწმებული წესით.

6. მომხმარებლის მიერ მზღვეველისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მნიშვნელობა და ამ ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგი:

- ✓ მზღვეველი უფლებამოსილია, უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველისთვის არ განხორციელებულა სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ზუსტი და დეტალური ინფორმაციის დროულად მიწოდება**,** გარდა იმ შემთხვევებისა**,** როდესაც დგინდება**,** რომ მზღვეველისათვის აღნიშნული ინფორმაცია ცნობილი გახდა**.**
- ✓ მომხმარებელმა დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას მზღვეველს უნდა შეატყობინოს ყველა მისთვის ცნობილი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საფრთხის ან დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისათვის და რომელიც შეიძლება გახდეს მზღვეველის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი, სსკ-ის 808-ე მუხლის გათვალისწინებით.

7. ხელშეკრულებით განსაზღვრული გამონაკლისთა ნუსხა: ხელშეკრულების თანახმად, არ იფარება/არ ანაზღაურდება უბედური შემთხვევით განპირობებული გარდაცვალების შემდეგი შემთხვევები:

- ✓ თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა ისეთ მოვლენებს, როგორიცაა: ომი, დაპყრობა, ნებისმიერი სახის საომარი/სამხედრო მოქმედებები,

სამოქალაქო ომი, აჯანყება, რევოლუცია, გაფიცვა, ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს მიერ განხორციელებული კონფისკაცია ან ნაციონალიზაცია, ნებისმიერი პირის ქმედებები, რომელიც მოქმედებს რაიმე ორგანიზაციის დავალებით ან დამოუკიდებლად და მიზნად ისახავს ,,დე იურე“ ( de Jure) ან ,,დე ფაქტო“ ( de Facto) ხელისუფლების დამხობას ან მასზე ზეგავლენას ტერორისტული ან ძალისმიერი მეთოდებით;

- ✓ თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა მაიონიზირებელ გამოსხივებას, გარემოს რადიაქტიურ დაბინძურებას, ბირთვული საწვავის აალებას;

- ✓ თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის ალკოჰოლური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნას; ან თუ დაზღვეული შემთხვევის დროს იმყოფებოდა ნარკოტიული, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;

- ✓ თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მიერ ჩადენილ თვითმკვლელობას ან თვითმკვლელობის მცდელობას, განზრახ თვითდაზიანებას;

- ✓ თუ გარდაცვალება შედეგია დაზღვეულის მკვლელობისა, რომლის პირდაპირ ან არაპირდაპირ, უშუალო ან არაუშუალო მონაწილედ გვევლინება მოსარგებლე ან ნებისმიერი პირი, რომელიც დაინტერესებულია გარდაცვალების გამო ანაზღაურების მიღებით;

- ✓ თუ გარდაცვალება შედეგია დაზღვეულის ფსიქიკური ავადმყოფობის ან გონების დაბინდვის;

- ✓ თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის ყოფნას ნებისმიერ საფრენ საშუალებაში/ხომალდში, მასში შესვლას ან მისგან გამოსვლას, გარდა ლიცენზირებული მრავალძრავიანი საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობისა, რომელსაც ექსპლოატაციას უწევს ლიცენზირებული საჰაერო გადამზიდავი;

- ✓ თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის ყოფნას სამხედრო ძალების ან პოლიციის სამსახურში ან მონაწილეობას მათ მოქმედებებში;

- ✓ თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მონაწილეობას ნებისმიერი სახის და საშუალებით სიჩქარეში შეჯიბრში;

- ✓ თუ გარდაცვალება შედეგია დაზღვეულის შიდსით დაავადების ან აივ-ით ინფიცირების;

- ✓ თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მიერ საკუთარი ნებით ხიფათში თავის ჩაგდებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი ასეთი ქმედება მიმართულია ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად.

- ✓ თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მიერ სანაძლეოს პირობების, აკრობატული ილეთების შესრულებას, რეკორდის დამყარებას ან ასეთის მცდელობა;

- ✓ თუ გარდაცვალება შედეგია მშობიარობასთან ან ორსულობასთან მთლიანად ან ნაწილობრივ დაკავშირებული გართულებებისა;

- ✓ თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მონაწილეობას პროფესიული სპორტის სახეობებში (შეჯიბრი, წვრთნა, საჩვენებელი გამოსვლა);

- ✓ თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მონაწილეობას შემდეგი სამოყვარულო სპორტის სახეობებში: საბრძოლო სახეობები, აკვალანგით ყვინთვა, პარაშუტით ან დელტაპლანით ხტომა, კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, სპელეოლოგია.

 მზღვეველი აგრეთვე არ აანაზღაურებს ექიმის მომსახურების ხარჯებს, რომელიც გადაიხადა მოსარგებლემ მზღვეველისათვის სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით პრეტენზიის წასაყენებლად და/ან შესაბამის მტკიცებულებათა მოსაპოვებლად.

შენიშვნა: წინამდებარე მნიშვნელოვანი პირობები წარმოადგენს, უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს, რომლებიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მხარესთან შეთანხმების შესაბამისად შესაძლოა დაექვემდებაროს ცვლილებას, მხარეთა შორის შეთანხმებული ცვლილებები აისახება უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულებაში.